

სარეზერვო სატარო სამსახურში

გზამკვლევი



MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK



Sweden/შვედეთი

Sverige



მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საგარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის და დანიის მთავრობის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

Prepared and published by the Civil Service Bureau of Georgia with assistance from the United Nations Development Programme (UNDP), Government of Sweden, UK aid from the UK Government and with support of Danish Government. The views expressed in the publication are those of the authors and do not necessarily reflect those of donor organizations.

გზამკვლევის ტექსტი: გვანცა ბესელია
გრაფიკული გაფორმება: ზურაბ სამუშია
© საგარო სამსახურის ბიურო

სარჩევი

- 3 რა არის საჩუქრის რეგულირების მიზანი
- 4 რა არის საჩუქარი
- 5 რა არის საჩუქრის მიღების რისკი
- 6 ვის ეხება საჩუქართან დაკავშირებული შეზღუდვები
- 7 რა გარემოებებია გასათვალისწინებელი საჩუქრის მიღებისას
- 9 ვინ არის მჩუქებელი (საჩუქრის წყარო)
- 10 რა არის მჩუქებლის მოტივი
- 12 რა ღირებულების საჩუქრის მიღება არის ნებადართული საჯარო მოსამსახურისათვის
- 13 რა ღირებულების საჩუქრის მიღება არის ნებადართული საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისათვის
- 14 რატომ იზღუდება ოჯახის წევრების დასაჩუქრება
- 16 რა არ ჩაითვლება საჩუქრად
- 19 როგორ განვაცხადოთ დასაჩუქრების შესახებ
- 22 ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის საჩუქრის გადაცემა
- 23 დამატებით სად არის განხილული საჩუქართან დაკავშირებული საკითხები

რა არის საჩუქრის რეგულირების მიზანი

საჩუქრის რეგულირების მიზანია ისეთი რისკების თავიდან არიდება, რომლებიც გავლენას მოახდენს საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე, ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებას, ზიანს მიაყენებს და შელახავს მისი და საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი იღებს მხოლოდ კანონით ნებადართულ საჩუქარს.

საჯარო მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებულმა საჩუქარმა:

- გავლენა არ უნდა მოახდინოს საჯარო მოსამსახურის მიერ უფლებამოსილების განხორციელებაზე
- ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს საჯარო მოსამსახურის გადამწყვეტილებების ობიექტურობა



რა არის საჩუქარი



საჩუქარი არის საჯარო მოსამსახურისათვის ან მისი ოჯახის წევრისათვის, საერთო წესიდან გამონაკლისის სახით - ექსკლუზიურად მხოლოდ საჯარო მოსამსახურისათვის, უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით:

- გადაცემული ქონება
- გაწეული მომსახურება
- ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება

საჯარო მოსამსახურე ან მისმა ოჯახის წევრმა შეიძლება მიიღოს უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული საჩუქარი, თუ ეს შეღავათიანი პირობები ან სარგებელი არ არის გამონაკლისი და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

რა არის სარგებელი?

სარგებელი არის პირის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება, პრივილეგირებული ხელმისაწვდომობა რაიმე მომსახურებაზე, პერსონალური მომსახურება, სამუშაოს შეთავაზება, ექსკლუზიური შეღავათები, ფასდაკლებები და სხვა.

რა არის საერთო წესიდან გამონაკლისი?

საერთო წესიდან გამონაკლისი ნიშნავს, როდესაც შეთავაზებული უპირატესობებითა და შეღავათებით სარგებლობს ექსკლუზიურად მხოლოდ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი და შეთავაზებები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის.


თუკი შეთავაზებული უპირატესობები და შეღავათები ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, საჯარო მოსამსახურეს ან მისი ოჯახის წევრს ამ უპირატესობებითა და შეღავათებით სარგებლობა არ ჩაეთვლება აკრძალულ საჩუქრად.

რა არის საჩუქრის მიღების რისკი

სანაცვლოობის პრინციპი - საჩუქრის მიღების რისკები უკავშირდება სანაცვლოდ, საჯარო მოსამსახურისგან რაიმე სარგებლის მიღებას ან ასეთი სარგებლის მიღების იძულებას.

საზოგადოების აღქმები - შესაძლოა საჩუქრის გადამცემის მოტივი არ იყოს სანაცვლოდ სარგებლის მიღება, მაგრამ შეიძლება ეს უარყოფითად აღიქვას საზოგადოებამ.

საჯარო მოსამსახურისა და საჯარო სამსახურის რეპუტაციის შელახვა - ზემოთ აღნიშნულ ორივე შემთხვევაში ზიანი ადგება საჯარო მოსამსახურისა და საჯარო სამსახურის რეპუტაციას.



ვის ეხება საჩუქართან დაკავშირებული შეზღუდვები

საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ეხება:

- საჯარო მოსამსახურეს
- საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრს

საჩუქრის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურე არის:

- სახელმწიფო მოსამსახურე
- პროფესიული საჯარო მოხელე
- ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირი

საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრი არის:

- მეუღლე
- არასრულწლოვანი შვილი
- გერი
- მასთან მუდმივად მცხოვრები პირი

საჯარო მოსამსახურესთან მუდმივად მცხოვრებია პირი, რომელიც ფაქტობრივად ცხოვრობს საჯარო მოსამსახურესთან ერთად, რაც დასტურდება: კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, აღწერით ან შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება (საქმე ბს-1896-1849 (კ-10)).

რა გარემოებებია გასათვალისწინებელი საჩუქრის მიღებისას

საჩუქრის მიღებისას საჭარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

საკუთარი სტატუსი	მჩუქებელი	საჩუქარი	საზოგადოება/კოლეგები
რა უფლებამოსილებას ახორციელებს რომელ სფეროში საქმიანობს	მჩუქებელი საჭარო სექტორიდანაა თუ კერძო სექტორიდან დაქვემდებარებული პირია თუ კოლეგა	დაახლოებით რა ღირებულებისაა საჩუქარი	როგორ აღიქვამს საზოგადოება საჭარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღების ფაქტს
რა თანამდებობას იკავებს	რა არის მისი მოტივი	არის თუ არა საჩუქარი ექსკლუზიური და საერთო წესიდან გამონაკლისი	როგორ აღიქვამენ კოლეგები და თანამშრომლები საჩუქრის მიღების ფაქტს
ვის ასაჩუქრებენ: მას თუ მის ოჯახის წევრს	ხომ არ აქვთ სანაცვლოდ რაიმე სარგებლის მიღების მოლოდინი	საჩუქარი მიღებულია ერთი წყაროდან თუ ერთზე მეტი წყაროდან/მიდა თუ გარე წყაროდან	როგორ აღიქვამს საზოგადოება საჭარო მოსამსახურის ოჯახის წევრის დასაჩუქრების ფაქტს
ეჭვქვეშ ხომ არ დგება მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა	ხომ არ ახდენს გავლენას მჩუქებელი საჭარო მოსამსახურის საქმიანობაზე	საჩუქრის შეთავაზების სიხშირე	

საჯარო მოსამსახურე საჩუქრის მიღებისას უნდა დაფიქრდეს შემდეგ გარემოებებზე:

- არის თუ არა საჩუქარი მხოლოდ მადლიერების გამომხატველი
- ხომ არ არის საჩუქარი მოთხოვნილი თავად საჯარო მოსამსახურის მიერ სანაცვლო სარგებლის მისაღებად
- მიღებული საჩუქარი ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს საჯარო მოსამსახურის დამოუკიდებლობას
- საჩუქრის მიღების შემთხვევაში საჯარო მოსამსახურე ვალდებულია ხომ არ იგრძნობს თავს საჩუქრის გადამცემის მიმართ
- საჩუქრის მიღების შემთხვევაში, იქნება თუ არა საჯარო მოსამსახურე მზად, ღიად განაცხადოს საჩუქრის მიღების თაობაზე



ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, ეკატერინე ქარდავა (რედაქტორი), თბილისი, 2018, 67-68.

ვინ არის მიუქებალი (სარეჟრის წყარო)

სატარო მოსამსახურეს ან მისი ოჯახის წევრს საჩუქარი შეიძლება გადაეცეს ერთი წყაროდან და შიდა ან გარე წყაროებიდან.


ერთი წყარო - ერთი ფიზიკური ან ერთი კერძო ან სატარო სამართლის იურიდიული პირი (კერძო კომპანია, სატარო დაწესებულება, საერთაშორისო ორგანიზაცია, ააიპ და სხვ.).

შიდა წყარო - სატარო დაწესებულება, სადაც მუშაობს სატარო მოსამსახურე, სატარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, სატარო მოსამსახურის უშუალო ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სატარო მოსამსახურის თანამშრომელი და ა.შ.

გარე წყარო - სხვა სატარო დაწესებულება (ხელმძღვანელი, მოადგილე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, თანამშრომელი), საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაცია, კერძო სამართლის იურიდიული პირი, მოქალაქე და ა.შ.



რა არის მჩუქებლის მოტივი




მჩუქებლის მოტივი არის პირადი სარგებლის მიღება ან მადლიერების გამოხატვა.

მჩუქებლის პირადი სარგებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- ❑ პრივილეგირებული ან შეღავათიანი მომსახურების მიღებას
- ❑ მისთვის სასარგებლო რეგულაციების ან გადაწყვეტილებების მიღებას
- ❑ რაიმე საქმიანობისათვის ლიცენზიის ან ნებართვის მიღებას
- ❑ ვალდებულებისგან გათავისუფლებას
- ❑ ტენდერში გამარჯვებას
- ❑ სამსახურში მიღებას
- ❑ სამსახურში დანინაურებას და ა.შ.

პირადი სარგებლის მიღების მიზნით საჯარო მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის დასაჩუქრება:

- ❑ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის რისკს
- ❑ საჯარო მოსამსახურეს ან მისი ოჯახის წევრს სანაცვლოდ რაიმე სარგებლის გადაცემას ავალდებულებს
- ❑ შესაძლოა წაახალისოს ქრთამის აღება ან სხვა სახის კორუფციული გადაცდომები



რა ჩაითვლება მადლიერების გამოხატვაში?

მადლიერების ნიშნად გადაცემული საჩუქარი ნაკლებ საფრთხეს შეიცავს, თუმცა, ასეთ დროსაც, საჩუქარი კანონით ნებადართული ოდენობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს და ზიანს არ უნდა აყენებდეს საჯარო მოსამსახურის რეპუტაციას. შესაბამისად, მადლიერების ნიშნად გადაცემული საჩუქარი მხოლოდ სიმბოლური ხასიათის უნდა იყოს.

მადლიერების გამოხატვად ჩაითვლება საჯარო მოსამსახურისათვის სამახსოვრო ან სიმბოლური საჩუქრის ჩუქება კონკრეტული ქმედების განხორციელების ან გადანაცვების მიღების შემდეგ. სამახსოვრო ან სიმბოლური საჩუქარი შეიძლება იყოს ერთი ფილა შოკოლადი, სამახსოვრო სუვენირი და სხვა.



რეაქტივების სარეგისტრაციო მიღება არის ნებადართული საჯარო მოსამსახურისათვის

საჯარო მოსამსახურეს ერთჯერადად, წლის განმავლობაში, შეუძლია მიიღოს საჩუქარი/საჩუქრები, რომლის/რომელთა ჯამური ღირებულება არ აღემატება მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 5%-ს.

საჯარო მოსამსახურის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს.

მაგალითი: საჯარო მოსამსახურეს, რომლის წლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 18 000 ლარს (1500 ლარიანი თვიური სარგოს პირობებში), შეუძლია წლის განმავლობაში ერთჯერადად მიიღოს საჩუქარი, რომლის ღირებულება 900 ლარზე მეტი არ იქნება.

რა ღირებულების საჩუქრის მიღება არის ნებადართული საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისათვის

ოჯახის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე, წლის განმავლობაში, ერთჯერადად შეუძლია მიიღოს საჩუქარი/საჩუქრები, რომელის/რომელთა ღირებულება არ არის 500 ლარზე მეტი.

ოჯახის თითოეული წევრის მიერ ცალ-ცალკე, წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი.

მაგალითი: თუ რომელიმე კერძო კომპანია საჯარო მოსამსახურის მეუღლეს და საჯარო მოსამსახურესთან მუდმივად მცხოვრებ დედას სთავაზობს შეღავათიან მომსახურებას ან ფასდაკლებას, ასეთი შემთხვევაში საჯარო მოსამსახურის მეუღლეს და დედას ცალ-ცალკე შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათით 500 ლარის ფარგლებში.



რატომ იზღუდება ოჯახის წევრების დასაჩუქრება

საჩუქრის შეზღუდვის მიზანია საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე გავლენის რისკების შემცირება. გავლენა შესაძლოა იყოს პირდაპირი ან ირიბი.

პირდაპირი გავლენის რისკები არსებობს, როდესაც საჩუქარი გადაეცემა უშუალოდ საჯარო მოსამსახურეს.

საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე ირიბი გავლენის რისკები არსებობს მაშინ, როდესაც ასაჩუქრებენ საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრებს.



ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, ეკატერინე ქარდავა (რედაქტორი), თბილისი, 2018, 65.

საყურადღებოა!

საჩუქარი შესაძლოა არ აღემატებოდეს დადგენილ ღირებულებას, მაგრამ ეჭვქვეშ აყენებდეს საჯარო მოსამსახურის კეთილსინდისიერებას. შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე საჩუქრის მიღებისას ყურადღებით უნდა იყოს და აწონ-დაწონოს ყველა რისკი, რაც შესაძლოა მოჰყვეს მისთვის საჩუქრის გადაცემას.



რე არ ჩაითვლება საჩუქრად

„სატარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით საჩუქრად არ ჩაითვლება:

- გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია, რომელიც გადაცემულია სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ
- „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა სატარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს და მისი საბაზრო ღირებულება 300 ლარზე მეტი არ არის
- სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომელიც სატარო მოსამსახურეს გადასცა საქართველოს ან სხვა ქვეყნის დაწესებულებამ ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს და მისი საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს
- ნაბეჭდი გამოცემები, რომლებსაც არ აქვთ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი
- უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით მიღებული საჩუქარი ახლო ნათესავისგან



„საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესებით“ საჩუქრად არ ჩაითვლება ასევე:

- ტრანსპორტირების, საცხოვრებლის ან/და კვების ხარჯები, რომლებიც გამოყოფილია:
 - სამსახურებრივსა და ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის
 - პროფესიული განვითარების მიზნით ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობისათვის
- დღესასწაულებზე მიღებული საჩუქარი ან/და მისალოცი ბარათები, ასევე მოსაწვევები ან/და ბილეთები, რომლებიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს
- სერტიფიკატები, საჩუქრები და პრიზები, რომლებიც მიღებულია კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისას
- ქველმოქმედების მიზნით (ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია და სხვ.) მიღებული ფულადი ან სხვა სახის სარგებელი
- მხარდაჭერის, თანაგრძნობის ან/და წახალისების მიზნით მიღებული ფულადი ან სხვა სახის სარგებელი
- დამკვიდრებული ტრადიციისამებრ მნიშვნელოვანი თარიღების (ქორწინება, დაბადების დღე და სხვ.) აღსანიშნავად მიღებული საჩუქარი
- სუვენირი ან სხვა სახის სიმბოლური საჩუქარი

ვინ ითვლება ახლო ნათესავად, რომლის მიერ გადაცემული საჩუქარი არ მიიჩნევა საჩუქრად

საჯარო სამსახურის მიზნებისათვის ახლო ნათესავი არის:

- ოჯახის წევრი
- პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი
- გერი
- და-ძმა
- მშობლის გერი
- შვილის გერი

პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი არის დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი, და ა.შ.

მაგალითი: თუ ბაბუამ მემკვიდრეობით დაუტოვა ქონება თავის შვილიშვილს, რომელიც არის საჯარო მოსამსახურე, არ აქვს მნიშვნელობა, რა ღირებულების არის ეს ქონება (თუნდაც აღემატებოდეს კანონით დადგენილ 5%-იან ან 15%-იან ზღვარს) - იგი არ ჩაითვლება აკრძალულ საჩუქრად.



როგორ განვახდოთ დასაჩუქრების შესახებ

საჯარო მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული აკრძალული საჩუქარი უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი 3 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადასცემს აკრძალულ საჩუქარს.

საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი ასევე 3 სამუშაო დღის ვადაში საჯარო მოსამსახურის ბიუროს წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:

- მიღებული საჩუქრის დასახელება
- შეფასებითი ან ზუსტი ღირებულება
- მჩუქებლის ვინაობა



თუ საჯარო მოსამსახურემ არ იცის, შეუძლია თუ არა საჩუქრის მიღება, ამის თაობაზე საჯაროდ უნდა განაცხადოს.

აკრძალული საჩუქრის შეთავაზების შემთხვევაში საჯარო მოსამსახურე:

- უარს ამბობს ამ საჩუქრის მიღებაზე და ამის შესახებ ატყობინებს უშუალო ხელმძღვანელს და საჯარო სამსახურის ბიუროს
- ცდილობს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც შესთავაზა აკრძალული საჩუქარი
- ცდილობს აკრძალული საჩუქრის შეთავაზების მიზეზისა და საფუძვლის დადგენას
- ზღუდავს იმ პირთან კონტაქტს, რომელმაც შესთავაზა აკრძალული საჩუქარი



თანამდებობის პირი ასევე ვალდებულია, მისი ან მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულებაც 500 ლარს აღეარებს, მიუთითოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში.

თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მიუთითებს მისი ან მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული ნებისმიერი სახის საჩუქრის, მათ შორის კანონით ნებადართული საჩუქრის შესახებ ინფორმაციასაც.

თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მიუთითებს შემდეგ ინფორმაციას:

- საჩუქრის მიმღების ვინაობას
- საჩუქრის გადამცემის ვინაობას
- საჩუქრის გადამცემის საჩუქრის მიმღებთან კავშირს
- საჩუქრის სახეობას
- საჩუქრის საბაზრო ღირებულებას



ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის საჩუქრის გადაცემა

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი ყურადღებას იჩენს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისგან საჩუქრის მიღებისას. განსაკუთრებით მაშინ, თუკი საჩუქრის გადამცემი არის მხოლოდ ერთი თანამშრომელი ან თანამშრომელთა შეზღუდული წრე.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი არ იღებს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლისგან ისეთ საჩუქარს, რომელიც სხვა თანამშრომლებმა შესაძლოა საჩუქრის გადამცემი თანამშრომლის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებად აღიქვან.

იგივე შეზღუდვა მოქმედებს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის მიერ ხელმძღვანელის ოჯახის წევრისათვის საჩუქრის გადაცემისას.

მაგალითი: როდესაც დეპარტამენტში დასაქმებული ერთი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ვიწრო ჯგუფი გამოეყოფა იმავე დეპარტამენტში დასაქმებულ სხვა თანამშრომლებს და დეპარტამენტის უფროსს ცალკე გადასცემს საჩუქარს (მნიშვნელობა არ აქვს, რა ღირებულებისაა ეს საჩუქარი), სხვა თანამშრომლებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ამ ერთ თანამშრომელს ან თანამშრომელთა ვიწრო ჯგუფს რაიმე სარგებლის მიღების სურვილი ამოძრავებს ან დეპარტამენტის უფროსს აქვს გამორჩეული, სუბიექტური დამოკიდებულება მათ მიმართ.

დამატებით სად არის განხილული საჩუქართან დაკავშირებული საკითხები

სამართლებრივ ჩარჩოს, საჯარო სამსახურში საჩუქართან დაკავშირებულ საკითხებზე აღგენს:

- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“

საჯარო სამსახურში საჩუქართან დაკავშირებული საკითხები განხილულია ასევე:

- „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარში
- საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გზამკვლევი
- საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების პრაქტიკულ სახელმძღვანელოში



კომენტარები

[illegible]

კომენტარები

[illegible]

კომენტარები

This image shows a blank sheet of white paper with horizontal blue ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

კომენტარები

This image shows a blank sheet of white paper with horizontal blue ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

კომენტარები

This image shows a blank sheet of white paper with horizontal blue ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

კომენტარები

[illegible]

კომენტარები

[illegible]

კომენტარები

This image shows a single sheet of white paper with horizontal blue ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.